

განაჩენის გაუქმება და საქმის დაბრუნება ხელახალი სასამართლო განხილვისათვის



საქართველოს უზენაესი სასამართლო

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა  
საქართველოს სახელით

№30-კოლ 30 მაისი, 2005 წელი, ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა  
პალატამ კონსტანტინე კუბლაშვილის თავმჯდომარეობით

მერაბ ტურავას,  
დავით სულაქველიძის,  
თამარ ლალიაშვილის (მომხსენებელი),  
მურმან ისაევის,  
ნინო გვენეტაძის,  
ირაკლი ბიბილაშვილის,  
ნუგზარ სხირტლაძის,  
მიხეილ გოგიშვილის შემადგენლობით

სხდომის მდივანი – გ. შალამბერიძე  
სხდომაში მონაწილეობდნენ: პროკურორი – ჯ. კ.-ი  
ადვოკატები – ი. გ.-ძე, თ. მ.-ლი  
დაზარალებული – ლ. ჩ.-ძე

განიხილა მსჯავრდებულ ზ. ლ.-ლის ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. მ.-  
ისა და მსჯავრდებულ ზ. მ.-ლის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. გ.-ძის

საკასაციო საჩივრები საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2005 წლის 27 იანვრის განაჩენზე.

ა ლ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2005 წლის 27 იანვრის განაჩენით:

1) ზ. ლ.-ლი, წინასწარ პატიმრობაში მყოფი 2003 წლის 18 ნოემბრიდან, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის „ა“ და „თ“ ქვეპუნქტებით და სასჯელის ზომად განესაზღვრა 20 წლით თავისუფლების აღკვეთა, პირველი ხუთი წლის საპყრობილეში, ხოლო 15 წლის – მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხდით;

2) ზ. მ.-ლი, წინასწარ პატიმრობაში მყოფი 2004 წლის 13 თებერვლიდან, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის „ა“ და „თ“ ქვეპუნქტებით და სასჯელის ზომად განესაზღვრა 18 წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხდით.

განაჩენით დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2003 წლის 25 მაისს მთვრალი ზ. ლ.-ლი დეიდაშვილ კ. მ.-თან ერთად იმყოფებოდა .....ის რაიონის სოფელ .....ში, სადაც შეხვდა თანასოფელელ გ. რ.-ძეს, რომელიც იჯდა ვ. ქ.-ლის კუთვნილ ავტომანქანაში. ზ. ლ.-მა ვ. ქ.-ს მოსთხოვა მანქანით პირად საქმეზე წაყვანა. გ. რ.-ძემ ამაზე უარი განუცხადა, რაზეც შეკამათდნენ, კამათი ჩხუბში გადაიზარდა. ზ. ლ.-ლმა და კ. მ.-ლმა გ. რ.-ძეს სცემეს, რის შედეგადაც ზ. ლ.-ლმა მიიღო მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით. იმავე დღეს გ. რ.-ძე და ზ. ლ.-ლი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს და იჩხუბეს. გ. რ.-თან ერთად იმყოფებოდა მისი ძმა ი. რ.-ძე, რომელიც ძმას ჩხუბში ეხმარებოდა, ხოლო ზ. ლ.-თან ერთად იყო მისი მეგობარი ზ. მ.-ლი. ჩხუბის დროს გ. და ი. რ.-ძეებმა სცემეს ზ. ლ.-სა და ზ. მ.-ლს. ჩხუბის შემდეგ ზ. ლ.-ლმა და ზ. მ.-ლმა გადაწყვიტეს, შური ეძიათ და მოეკლათ ძმები ჩ.-ძეები. 2003 წლის 28 მაისის ღამეს ზ. ლ.-ლი და ზ. მ.-ლი სტუმრად იმყოფებოდნენ .....ის რაიონის სოფელ ..... ში, ზ. მ.-ლის მეზობლად მცხოვრებ ლ. კ.-ლის ოჯახში, სადაც იქეიფეს და დათვრნენ. მათ გადაწყვიტეს, იმ ღამეს ეძიათ შური და მოეკლათ ძმები – გ. და ი. რ.-ძეები. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ისინი შეიარაღდნენ

16-კალიბრიანი, ორლულიანი სანადირო თოფით და 2003 წლის 29 მაისს, დაახლოებით 4 საათზე, ჯგუფურად შეაღწიეს ჩ.-ეების საცხოვრებელ სახლში, ავიდნენ მეორე სართულზე, ფანჯრიდან შეიხედეს გ. ჩ.-ის საძინებელ ოთახში, სადაც ეს უკანასკნელი არ დახვდათ. ოთახში იმყოფებოდა გ. ჩ.-ის მეუღლე მ. ბ.-ლი. ზ. ლ.-ლი და ზ. მ.-ლი შევიდნენ ი. ჩ.-ის საძინებელ ოთახში, სადაც ეძინათ ი. ჩ.-ძესა და დედამისს – ნ. ჩ.-ძეს. მათ ვერ ნახეს რა გ. ჩ.-ძე, მასზე განაწყენებულებმა, ჯგუფურად განიზრახეს ი. და ნ. ჩ.-ძეების მოკვლა. ამ მიზნით ზ. ლ.-ლმა თოფიდან ესროლა ი. ჩ.-ძეს, რის შედეგადაც მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანება, კერძოდ, ერთი ჭრილობა მარჯვენა ლოყის არეში, ზედა და ქვედა ყბის ძვლის, სახის ძვლისა და თავის ქალას ფუძის მოტეხილობით, პირის ღრუს რბილი ქსოვილების ნაფლეთოვანი ჭრილობებით, ქალას ღრუში სისხლჩაქცევებითა და ნათხემის დაზიანებით. თავის ტვინისა და ნათხემის ცენტრების დაზიანებამ გამოიწვია ი. ჩ.-ის სიკვდილი. შემდეგ ზ. ლ.-ლმა, შეთანხმებისამებრ, მოკვლის მიზნით თოფიდან ესროლა ხმაურზე გამოღვიძებულ ნ. ჩ.-ძეს, რის შედეგადაც მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანება, კერძოდ: მუცლის წინა ზედაპირზე – ნატყვიარი ჭრილობა, რომელმაც მუცლის ღრუში დააზიანა წვრილი ნაწლავები, მარცხენა თირკმელი, მუცლის ღრუს აორტა და დამთავრდა ხერხემლის სვეტის მარცხენა, გვერდით ზედაპირზე. მუცლის ღრუს ორგანოთა და მუცლის აორტის ტლანქმა დაზიანებამ, ძლიერი შინაგანი სისხლდენით, გამოიწვია ნ. ჩ.-ის სიკვდილი.

აღნიშნულის შემდეგ ზ. ლ.-ლი და ზ. მ.-ლი შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

მსჯავრდებულ ზ. ლ.-ლის ინტერესების დამცველი ადოკატი საკასაციო საჩივრით ითხოვს ზ. ლ.-ლის მიმართ განაჩენის გაუქმებას და საქმის დაბრუნებას ხელახალი სასამართლო განხილვისათვის იმ საფუძველით, რომ პირველი ინსტანციის წესით საქმის განხილვისას არ შემოწმდა ზ. ლ.-ლის ფსიქიკური მდგომარეობა, არ ჩატარდა ფსიქიატრიული ექსპერტიზა ზ. ლ.-ლის შერაცხადობის საკითხის დასადგენად, მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არსებობს წინასწარი გამოძიებისას ჩატარებული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა, რომლის შესაბამისადაც, ზ. ლ.-ლს გააჩნია ფსიქიკური ნაკლი. ადოკატის განმარტებით, პირველი ინსტანციის წესით საქმის სასამართლო განხილვის სტადიაზე უნდა გარკვეულიყო მსჯავრდებულის ფსიქიკური მდგომარეობა. მისივე განმარტებით, საქმეზე სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარებისა და მსჯავრდებულის ფსიქიკური მდგომარეობის დადგენის შემდეგ უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ საქმის

წარმოების დაწყებისა, თუ საქმის საერთო წესით განხილვის თაობაზე. სასამართლო სხდომაზე ზ. ლ.-ლის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა თ. მ.-ლმა მხარი დაუჭირა თავის საკასაციო საჩივარს. მსჯავრდებულ ზ. მ.-ლის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ი. გ.-ძე საკასაციო საჩივრით ითხოვს ზ. მ.-ლის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას იმ საფუძველით, რომ საქმეში არ არსებობს რაიმე მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ ზ. მ.-ლი შემთხვევის დღეს იმყოფებოდა მკვლელობის ადგილზე. ადვოკატის განმარტებით, ზ. მ.-ლის მსჯავრდებას საფუძველად უდევს დაზარალებულ ლ. ჩ.-ძისა და მისი რძლის – მ. ბ.-ლის წინასწარ და სასამართლო გამოძიებისას მიცემული არათანმიმდევრული ჩვენებები, რომელთა შესაბამისადაც, თითქოს ზ. მ.-ლი მკვლელობის დღეს იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე, რაც არასწორია, ვინაიდან წინასწარ გამოძიებაში მიცემულ ჩვენებაში ძირითადი მოწმე მ. ბ.-ლი განმარტავს, რომ, სავარაუდოდ შესაძლებელია, კიბეებზე მყოფი პირი ყოფილიყო რ. გ.-ლი. ადვოკატის განმარტებით, საქმეში არ არსებობს არანაირი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ზ. მ.-ლი იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე. სასამართლო სხდომაზე ადვოკატმა ი. გ.-ძემ მხარი დაუჭირა თავის საკასაციო საჩივარს.

პროკურორმა ჯ. კ.-მა მხარი არ დაუჭირა საკასაციო საჩივრებს და მოითხოვა განაჩენის უცვლელად დატოვება იმ საფუძველით, რომ განაჩენი ემყარება სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და კანონიერია. პროკურორის განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს და, იქიდან გამომდინარე, რომ მკვლელობის ჩადენამდე ერთი დღით ადრე ზ. ლ.-ლსა და ზ. მ.-ლს ჩხუბი მოუხდათ ძმებთან – ი. და გ. ჩ.-ძეებთან, რომლებმაც სცემეს ისინი, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ ცეცხლსასროლი იარაღი ჰქონდა ზ. ლ.-ლს, რის შესახებაც იცოდა ზ. მ.-ლმა, რომ ისინი ღამის ოთხი საათისთვის ერთად მივიდნენ ჩ.-ბის სახლში და თან ჰქონდათ იარაღი, ერთად ავიდნენ მეორე სართულზე, ერთად შევიდნენ ჯერ ერთ, შემდეგ – მეორე საძინებელში, სადაც იარაღიდან ისროლა ზ. ლ.-ლმა და მოკლა ი. და ნ. ჩ.-ძეები, სწორი დასკვნა გააკეთა იმის თაობაზე, რომ ზ. მ.-ლი და ზ. ლ.-ლი მოქმედებდნენ ერთიანი განზრახვით, ორივეს სურდა დედა-შვილ ჩ.-ეების მკვლელობა და მოქმედებდნენ როგორც თანაამსრულებლები.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

პალატამ შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძველიანობა, შეისწავლა საქმეში

არსებული მასალები, მოუსმინა მხარეებს – კასატორს, მსჯავრდებულ ზ. ლ.-ლის ინტერესების დამცველს, ადვოკატ თ. მ.-ლს, მსჯავრდებულ ზ. მ.-ლის ინტერესების დამცველს, ადვოკატ ი. გ.-ძეს, პროკურორ ჯ. კ.-ს და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის – მსჯავრდებულ ზ. ლ.-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. მ.-ლის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ განაჩენი უნდა გაუქმდეს იმ საფუძვლით, რომ საქმის განხილვისას არ გამოკვლეულა მსჯავრდებულის ფსიქიკური მდგომარეობა. აღნიშნული არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან. საქმის მასალების შესაბამისად, მსჯავრდებულ ზ. ლ.-ლს ორჯერ ჩაუტარდა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა – ამბულატორიული სასამართლო-ფსიქიატრიული და სტაციონალური საექსპერტო ფსიქიატრიული გამოკვლევა, რომლის შესაბამისადაც, ინკრიმინირებული დანაშაულის ჩადენის დროს ზ. ლ.-ლს შეეძლო, გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი, მართლწინააღმდეგობა და ეხელმძღვანელა მისთვის. ამავე დასკვნის თანახმად, ზ. ლ.-ლს აქვს ფსიქიკური ნაკლი, რაც არ გამორიცხავს შერაცხადობას. ხოლო, რაც შეეხება ადვოკატ თ. მ.-ლის მითითებას იმის თაობაზე, რომ წინასწარი გამოძიებისას ჩატარებული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის შემდეგ გავიდა გარკვეული დრო და მსჯავრდებულის ფსიქიკური მდგომარეობა არ იყო გარკვეული დღეის მდგომარეობით, პალატა თვლის, რომ სასჯელის აღსრულების პერიოდში შესაძლებელია, პერიოდულად შემოწმდეს მსჯავრდებულ ზ. ლ.-ლის ფსიქიკური მდგომარეობა.

პალატა ასევე ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულ ზ. მ.-ლის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. გ.-ძის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ზ. მ.-ლი მკვლელობის დროს საერთოდ არ იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე. აღნიშნული არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან. საქმის მასალებით, კერძოდ, მოწმე მ. ბ.-ლის ჩვენებებით დადგენილია შემთხვევის დღეს ზ. მ.-ლის მკვლელობის ადგილზე ყოფნის ფაქტი. მ. ბ.-ლმა სასამართლო სხდომაზე დაადასტურა, რომ შემთხვევის ღამეს მის ოთახში შევიდნენ ზ. ლ.-ლი და ზ. მ.-ლი. მოწმე მ. ბ.-ლის ჩვენებათა სარწმუნოება დადგენილია დაზარალებულ ლ. ჩ.-ძის ჩვენებებით, რომელმაც როგორც წინასწარ, ასევე სასამართლო გამოძიებისას დაადასტურა ფაქტი, რომ შემთხვევის ღამეს დაინახა, თუ თავისი სახლის მეორე სართულის კიბეებზე როგორ ჩამოდიოდნენ თანასოფლელები – ზ. მ.-ლი და ზ. ლ.-ლი.

პალატა თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა ზ. მ.-ლის მიერ განხორციელებულ ქმედებას და არასწორად მიიჩნია, რომ ზ. მ.-ლი იყო დანაშაულის უშუალო ჩამდენის –

ზ. ლ.-ლის თანამსრულებელი ი. და ნ. ჩ.-ების დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობაში. საქმის მასალების შესაბამისად, უტყუარად არის დადგენილი, რომ სანადირო თოფით შეიარაღებული ზ. ლ.-ლი ზ. მ.-ლთან ერთად ღამის ოთხ საათზე ფანჯრიდან შევიდა ჩ.-ძეების სახლის იმ ოთახში, სადაც იმყოფებოდა გ. ჩ.-ძის მეუღლე – მ. ბ.-ლი. მ. ბ.-ლის ოთახიდან ისინი გავიდნენ იმ ოთახში, სადაც ეძინათ დედა-შვილ ნ. და ი. ჩ.-ძეებს. აღნიშნულ ოთახში ზ. ლ.-ლმა ჯერ ესროლა მძინარე გ. ჩ.-ძეს, შემდეგ კი – სროლის ხმაზე გამოღვიძებულ ნ. ჩ.-ძეს, ხოლო ზ. მ.-ლს რაიმე მოქმედება დედა-შვილ ნ. და ი. ჩ.-ძეების მოსაკლავად არ განუხორციელებია. ამდენად, სასამართლო გამოძიებით დადგენილად იქნა ცნობილი, რომ ზ. მ.-ლს შემთხვევის ადგილზე რაიმე მოქმედება ნ. და ი. ჩ.-ძეების მოსაკლავად არ განუხორციელებია. საქმის გარემოებიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში, მართალია, სახეზეა თანამსრულებლობისათვის აუცილებელი ისეთი ნიშანი, როგორიცაა ქმედების სუბიექტური შეამდგენლობა, რაც გამოიხატა ზ. ლ.-ლისა და ზ. მ.-ლის ქმედებაში, მოკვლის ერთიანი განზრახვა, მაგრამ ზ. მ.-ლის მოქმედებით არ განხორციელებულა დამთავრებული თანამსრულებლობისათვის აუცილებელი ობიექტური შეამდგენლობის არც ერთი ნაწილი, კერძოდ: მართალია, ზ. მ.-ლი თოფით შეიარაღებულ ზ. ლ.-ლთან ერთად ღამის სამ საათზე მივიდა ჩ.-ძეების ოჯახში მოკვლის განზრახვით, მაგრამ მას ობიექტურად რაიმე რეალური მოქმედება ნ. და ი. ჩ.-ძეების მოსაკლავად არ განუხორციელებია. სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის შესაბამისად, დანაშაულის ობიექტური შეამდგენლობის არსებობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ქმედება წარმოადგენდეს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ეს შედეგი არ განხორციელდებოდა. მოცემულ შემთხვევაში ზ. მ.-ლის მოქმედება ანუ ბინაში შესვლა და შემთხვევის ადგილზე ყოფნა, როდესაც ის უშუალოდ არანაირ მოქმედებას არ ახორციელებდა ნ. და ი. ჩ.-ძეების მოსაკლავად, ვერ იქნება მიჩნეული ამ შედეგის დადგომის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად.

პალატა მიიჩნევს, რომ ზ. მ.-ლმა მის მიერ განხორციელებული განზრახი მოქმედებით, კერძოდ, თოფით შეიარაღებულ ზ. ლ.-ლთან ერთად ღამის ოთხ საათზე გ. ჩ.-ძის სახლში მისვლით, იმ ოთახში შესვლით, სადაც ეძინათ ნ. და ი. ჩ.-ძეებს და იქ მასზე ადრე შევიდა თოფით შეიარაღებული ზ. ლ.-ლი, პირობები შექმნა მისი მხრივ დამამძიმებელ გარემოებაში, სახელდობრ, ზ. ლ.-ლთან ერთდ ჯგუფურად განზრახი მკვლელობის ჩასადენად, რისი განხორციელებაც უშუალოდ მას აღარ დასჭირდა, რადგან მას მკვლელობის განხორციელება დაასწრო ზ. ლ.-ლმა. აღნიშნული გარემოების გამო ზ. მ.-ლის

მიერ ჩადენილი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ჯგუფურად განზრახ მკვლელობის მომზადება. პალატა თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა თავის მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და არასწორად ცნო დადგენილად, რომ ზ. ლ.-ლი და ზ. მ.-ლი შემთხვევის ადგილზე მივიდნენ ორი პირის, კერძოდ, ორივე ძმის მოკვლის განზრახვით; მიუხედავად დამდგარი შედეგისა, საქმეში არ მოიპოვება უტყუარი მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ ზ. ლ.-ლსა და ზ. მ.-ლს დანაშაულის მომზადების სტადიაზე უკვე ჰქონდათ ორი ადამიანის სიცოცხლის მოსპობის განზრახვა. საქმის მასალების შესაბამისად, ზ. ლ.-ლმა ნ. ჩ.-ძეს მას შემდეგ ესროლა, როცა ამ უკანასკნელს სროლის ხმაზე გამოეღვიძა და ყვირილი დაიწყო. ამდენად, საქმის მასალებით უტყუარად არ არის უარყოფილი, რომ ნ. ჩ.-ძის მკვლელობის განზრახვა ზ. ლ.-ლს არ წარმოეშვა პირველი მკვლელობის შემდეგ, როდესაც სროლის ხმაზე გამოღვიძებულმა ნ. ჩ.-ძემ დაიწყო ყვირილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ ზ. მ.-ლს ბრალდებიდან უნდა ამოერიცხოს სსკ-ის 109-ე მუხლის „ა“ პუნქტი და მისი ქმედება, დაკვალიფიცირებული სსკ-ის 109-ე მუხლის „ა“ და „თ“ პუნქტებით, უნდა გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 18, 109-ე მუხლის „თ“ პუნქტზე. პალატა თვლის: იქიდან გამომდინარე, რომ ზ. მ.-ლის ქმედება დაკვალიფიცირდა დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის მომზადებად, სსკ-ის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მას შეფარდებული სასჯელი – 18 წლით თავისუფლების აღკვეთა – უნდა შეუმცირდეს და განესაზღვროს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

პალატა თვლის, რომ განაჩენი უნდა შეიცვალოს ზ. ლ.-ლის სასიკეთოდ მის მიერ სასჯელის მოხდის ნაწილში. განაჩენით ზ. ლ.-ლს დაუდგინდა შეფარდებული სასჯელიდან პირველი ხუთი წლის საპრობილის მკაცრ რეჟიმში მოხდა. პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულმა ზ. ლ.-ლმა განაჩენით დანიშნული სასჯელი მთლიანად უნდა მოიხადოს მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულებაში.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

დიდმა პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

საკასაციო საჩივრების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდეს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2005 წლის 27 იანვრის განაჩენი შეიცვალოს შემდეგი მიმართებით:

ზ. მ.-ლი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 18,109-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშულის ჩადენაში და სასჯელის ზომად განესაზღვროს 10 (ათი) წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მსჯავრდებულმა ზ. ლ.-ლმა განაჩენით დანიშნული სასჯელი მთლიანად მოიხადოს მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულებაში.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.